პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 58 (6123) 23 1978 წ. მარტი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

26 მარტს თბილისში გაიმართება რესპუბლიკური ფინალური ტურნირი

# ბრძანებულება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის განსახილველად მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესია 1978 წლის 14 აპრილს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი,
1978 წლის 22 მარტი.



# თბილისის ზღვის მიდამოებში

ოქტომბრის რაიონის კროსმენთა პირველობაში 13 გუნდის 313 სპორტსმენი მონაწილეობდა, რომელთა შორის 123 ქალი იყო. კარგად მომზადებული კოლექტივებით გამოვიდნენ ფიზკულტურის ტექნიკუმი, № 5 პროფტექსასწავლებელი, ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკა, 26 კომისრის მანქანათსაშენებელი ქარხანა და სხვები. საერთო გუნდური პირველობა ფიზკულტურის ტექნიკუმის მძლეოსნებმა მოიგეს.

გოგონათა შორის, როგორც 1000, ისე 2000 მეტრზე რბენაში ტექნიკუმელებმა იმარჯვეს. ფინიშთან ყველაზე ადრე მივიდნენ ა. ტროფიმენკოვა, ნ. ახობაძე და რ. ინდუაშვილი. ქალთა შორის პირველი იყო ლ. ბუხანკოვა (ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკა).

ვაჟთა შორის უძლიერესნი აღმოჩნდნენ: თ. კენჭიაშვილი (№ 5 პროფტექსასწავლებელი), ვ. ყარალაშვილი და მ. წიკლაური (ორივე — ფიზკულტურის ტექნიკუმი).

შეჯიბრებას თავი აარიდეს გაერთიანება „ივერიის", ლიფტების სამმართველოს, კალინინის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის, ფერადი ბეჭდვის კომბინატისა და ტანსაცმელვაჭრობის კოლექტივებმა.

• • •

სურათებზე: ფინიშთან არის რ. ინდუაშვილი, რომელმაც 2000 მეტრზე რბენა მოიგო; 3000 მეტრზე მორბენალი ვაჟები დისტანციაზე.

გ. დოლენჯაშვილის ტექსტი და ფოტოები.



# ჭადრაკი

## ინტერვიუ ტელეფონით

## ყაიმებმა ვერ დააზარალა

ბელგრადში (იუგოსლავია) მიიწურა 8 მარტისადმი მიძღვნილი ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, დიდოსტატი ნ. გაფრინდაშვილი მონაწილეობს. გუშინ ბელგრადში ტელეფონით დავუკავშირდით ჩვენს სპეციალურ კორესპონდენტს ა. ჭიჭინაძეს, რომელმაც შემდეგი გვიამბო:

— დიდ ინტერესს იწვევდა ერთპიროვნული ლიდერის ნონა გაფრინდაშვილისა და უნგრელი ივანკას შეხვედრა XI ტურში. მსოფლიო ჩემპიონმა უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ ცაიტნოტში არაზუსტად ითამაშა და ივანკამ შეძლო ყაიმის მიღწევა. მეორე დღეს ნონას მეტოქე პოლანდიელი ნიკოლაუ-მიიე იყო. ეს შეხვედრაც ყაიმით დამთავრდა.

დასკვნითი, XII ტურის წინ ნონა კვლავ ერთპიროვნული ლიდერია. მას 8,5 ქულა აქვს. 7,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს უნგრელ ვეროცის, რომელმაც XI და XII ტურებში სძლია ნიკოლაუსა და იუგოსლაველ შტადლერს. მას გადადებულ პარტიაში (პიკაილიჩთან) უარესი მდგომარეობა აქვს. პოლონელმა ერენსკამ ბოლო ორ შეხვედრაში 1,5 ქულა მოაგროვა და 7 ქულა და 1 გადადებული პარტია (უკეთეს მდგომარეობაში) აქვს.

23 მარტს გაიმართება დასკვნითი, XIII ტური.

# ძნელი კილომეტრები

26 მარტს თბილისში გაიმართება რესპუბლიკური კროსი „პრავდის" პრიზებზე. მანამდე ყველგან მოწმდება ძალები. ერთი ასეთი ასპარეზობა ცხინვალის კულტურისა და დასვენების პარკში ჩაატარა „კოლმეურნეს" ცენტრალურმა საბჭომ. სტარტზე აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და 12 რაიონის 160 წარმომადგენელი გამოვიდა. განსაკუთრებით ძლიერი კოლექტივი ჰყავდათ მასპინძლებს და პირველობაც მათ დარჩათ. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ახალციხისა და წალკის რაიონების კროსმენები.

ჩვენი შეჯიბრების ფინალამდე ადგილებზე მოეწყო მასობრივი სტარტები, რომლებშიც ათასობით მექანიზატორი, ტრაქტორისტი, მეჩაიე თუ მევენახე მონაწილეობდა. სარბიელზე ვიხილეთ ოჯახებიც. ასე იყო მაგალითად, ხელვაჩაურში, ბოგდანოვკაში, ახალციხეში...

ყველაზე ძნელი გამოდგა 12 კილომეტრზე რბენა, რომელიც საკავშირო კროსების მონაწილემ შ. ნადირაძემ (თეთრი წყარო) მოიგო — 37.16,5. 8 კილომეტრზე შეჯიბრებაში ფინიშთან პირველი მივიდა ახალციხელი ვ. ნებაძე — 26.06, ხოლო ხუთკილომეტრიან დისტანციაზე გამარჯვება მოიპოვა წალკელმა ს. კუბოიანმა — 15.55.

3000 მეტრზე ბიჭებს შორის პირველმა ვ. მელქუევმა (სამხრეთ ოსეთი) უფრო კარგი შედეგი — 8.49 აჩვენა, ვიდრე იუნიორებში უძლიერესმა წალკელმა რ. ქროიანმა — 9.09,2.

3 კილომეტრზე რბოლა მოიგო ი. ლევიტმა (ახალციხე) — 5.42.

ქალთა შორის ნამდვილი აღმოჩენა იყო ახალციხელი თ. ნარიმანიშვილი, რომელმაც სამი კილომეტრი 11 წუთსა და 6 წამში დაფარა, ამ გოგონამ ქალებში უძლიერეს მ. ვასილოვას (წალკა) ნახევარი წუთი მოუგო.

2 კილომეტრზე რბენის ფინიშთან ყველაზე ადრე მივიდა ტ. ეზეკიანი (წალკა) — 6.26. 1500 მეტრზე რბენაში უძლიერესი აღმოჩნდა ახალციხელი ნ. ჭალიაშვილი — 4.49, ხოლო 1000 მეტრზე — ზ. ძაგოევა (სამხრეთ ოსეთი) — 3.13.

ო. ხერხეულიძე,
„კოლმეურნეს" ცენტრალური საბჭოს ინსტრუქტორი.

• • •

სურათებზე: შეჯიბრების მომენტები.





# სტარტიდან ფინიშამდე

ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა პარკში თავშეყრილი გულშემატკივრები საინტერესო შეჯიბრების მოწმენი იყვნენ. ბათუმის მძლეოსნურ კროსში, გოგონათა შორის 800-მეტრზე თავიდანვე მეხუთე რუსული საშუალო სკოლის მოსწავლე ვ. მოროზოვა დაწინაურდა და ეს უპირატესობა ფინიშამდე შეინარჩუნა.

მერე სტარტზე 1500 მეტრზე მორბენლები დადგნენ. აქ მეშვიდე სკოლის მოსწავლემ გ. გერმანოვამ იმარჯვა. ქალების 3000 მეტრზე ასპარეზობა კი პედინსტიტუტის ფიზაღზრდის ფაკულტეტის სტუდენტის რ. ჯორბენაძის უპირატესობით აღინიშნა.

ვაჟთა შორის ქალაქის ჩემპიონები გახდნენ: მეოთხე საშუალო სკოლის მოსწავლე გ. დარჩია, დინამოელი თ. ხიმშიაშვილი, „განთიადის" წარმომადგენელი ა. გარიბიანი, საზღვაოსნო სასწავლებლის კურსანტი გ. სანატოვსკი და ს. აბერჯანია („ვოდნიკი").

14 კილომეტრზე რბენა ი. გურგენიანმა („დინამო") მოიგო.

გუნდურ ჩათვლაში „დინამოს" ნაკრებმა იმარჯვა. მომდევნო ადგილებზე არიან „ვოდნიკისა" და „განთიადის" მძლეოსნები.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

# მშვილდოსნობა

ლენინგრადის დარბაზში დამთავრდა საბჭოთა კავშირის მშვილდოსანთა ზამთრის ჩემპიონატი. „მ-2" ვარჯიშში ქალთა შორის პირველობა მოიგო ხარკოველმა ლ. ნოვიკოვამ, რომელმაც 2559 ქულა მოაგროვა და 9 ქულით ჩამოიტოვა ლ. დაშირამდანოვა (ჩიტა).

ვაჟთა შორის ამჯერადაც ჩემპიონის სახელი მოიპოვა შარშანდელ ტურნირში გამარჯვებულმა ლვოველ არმიელმა ი. ფაინშტეინმა, რომელმაც საკმაოდ მაღალი შედეგი (2580 ქულა) აჩვენა. მოსკოველი არმიელი ვ. ჩენდაროვი მეორე ადგილზე გავიდა — 2567. მესამე იყო მ. დაბაევი (ჩიტა) — 2563.

ძირითადი ვარჯიშის შემდეგ აქვე ჩატარდა მოკლე მანძილებიდან ასპარეზობა. 18 მეტრიდან ყველაზე ზუსტი ისევ ფაინშტეინი აღმოჩნდა — 576, ხოლო 25 მეტრზე ბრესტელმა ზ. ისაჩენკომ იმარჯვა — 576.

ქალებში შესაბამისად პირველი ადგილები მოიპოვეს ნოვიკოვამ — 562 და დაშირამდანოვამ — 559.

# ვინ უფრო შორს...

კრასნოიარსკის ტრამპლინზე დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირველობა თხილამურებით შორს ფრენაში. ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა სვერდლოვსკელმა ვ. პიროჟკოვმა, რომელმაც 518,5 ქულა მოაგროვა (ნახტომები — 134,5; 138,5 და 124 მ).

ვერცხლის მედალი მიიღო ა. კარტაშოვმა (მოსკოვის ოლქი) — 509 ქულა, ბრინჯაო ერგო ლენინგრადელ ი. კალინინს — 505,5. იგი ყველაზე შორს — 146 მეტრზე გადახტა, მაგრამ დაეცა და ტრამპლინის ადრინდელი რეკორდი (144), რომელიც შარშან ასევე ლენინგრადელმა ა. კარაპუზოვმა დაამყარა, „ხელუხლებელი" დარჩა.

# თხილამურები

# ადგილები განაწილდა, პრიზები დარიგდა

ბაკურიანის, სვერდლოვსკის, პერვოურალსკის და ნიჟნიტაგილის ბაზებზე დამთავრდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის IV სპარტაკიადა, რომელიც თითქმის ორ კვირას გრძელდებოდა. შეჯამდა შედეგები. საერთო გუნდურ ჩათვლაში და ცალკეულ სახეობებში, აგრეთვე, ქალთა შეჯიბრებებში უძლიერეს კოლექტივებს გადაეცათ პრიზები.

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრიზები სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო მაჩვენებლებისთვის მიეკუთვნათ მოსკოვის, ლენინგრადის, სვერდლოვსკის და მოსკოვის ოლქების, უკრაინის კოლექტივებს. სპარტაკიადაში VI ადგილის დაკავებისთვის გორკის ოლქის ნაკრებს გადაეცა სსრ კავშირის სპორტკომიტეტის პრიზი.**

საკავშირო სპორტკომიტეტის პრიზებით დაჯილდოვდნენ, აგრეთვე, **მოსკოვის, სვერდლოვსკის ოლქის, ლენინგრადის, მოსკოვის ოლქისა** და **უკრაინის** ქალთა კოლექტივები, რომლებმაც სპარტაკიადაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

ახლა, როცა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის IV სპარტაკიადა საბჭოთა სპორტის ისტორიაში მორიგ ფურცლად შევიდა, როცა განვლილი ბრძოლების შედეგებს ვაჯამებთ, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ წინა სპარტაკიადასთან შედარებით შედეგები საგრძნობლად ამაღლდა. განსაკუთრებით თვალსაჩინოა სამხრეთის რესპუბლიკების დაწინაურება.

მაგალითად, თუ ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადაში სპორტსაზოგადოება „განთიადის“ წევრებმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიგურული სრიალის სპეციალიზებული სპორტული სკოლის აღსაზრდელებმა 66 ქულის მოგროვება შეძლეს, ახლა ამ სკოლის მოსწავლეებმა, 146

## ქართველი ფიგურისტები ახალ ასპექტში

ქულა მოაგროვეს და „განთიადს“ II ჯგუფის გუნდებს შორის სპარტაკიადის საერთო ჩათვლაში 19 კოლექტივს შორის VIII ადგილი მოუტანეს.

„როგორ გამოვიდნენ ფიგურული სრიალის ქართველი ოსტატები? ჩვენ მათ შესახებ ადრეც გვსმენია, ამ რესპუბლიკის გოგონები ქვეყნის თასსაც კი ფლობდნენ. მაგრამ ამ სპარტაკიადამ ჩვენთვის აღმოაჩინა ქართული ფიგურული სრიალი სხვა ასპექტში. სვერდლოვსკის სპორტის სასახლეში ჩვენ ვნახეთ შესანიშნავი ქართველი ოსტატები, რომელთა ნათელი წარმომადგენლები არიან გია შანყულაშვილი და ბადრი ყურაშვილი“ — წერს „სოვეტსკი სპორტი“.

სპარტაკიადაში საქართველოს დელეგაციამ სულ 389 ქულა მოაგროვა და მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდებთან ბრძოლაში VIII ადგილი დაიკავა. ეს ცუდი როდია.

ამ წარმატებას უნდა ვუმადლოდეთ მხოლოდ ფიგურული სრიალის ოსტატებს, მოციგავეებს, რომლებმაც 106 ქულა მოაგროვეს და სამთომოთხილამურეებს — 137. მოთხილამურეები და ტრამპლინიდან მხტომელები ამაოდ გაისარჯნენ, თუმცა ცდა არც მათ დაუკლიათ და თუ ქულა ვერ მოიპოვეს იმის ბრალია, რომ სულ სპარტაკიადაში 59 კოლექტივი გამოდიოდა, ცალკეულ სახეობაში ქულებს კი ის სპორტსმენები იძლეოდნენ, რომლებიც უძლიერესთა სიაში მოხვდებოდნენ.

გთავაზობთ სპარტაკიადაში გუნდური შედეგების ცხრილებს, რომლებიც ნათელყოფენ ძალების შეფარდებას.

მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის, რსფსრ-ს ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქების, მხარეების ჯგუფი:

1. მოსკოვი — 5620,875 ქულა, 2. ლენინგრადი — 4021; 3. სვერდლოვსკის ოლქი — 3773,5; 4. მოსკოვის ოლქი — 2556,6; 5. უკრაინა — 1887,5; 6. გორკის ოლქი — 1731,3; 7. ბელორუსია — 1452; 8. ყაზახეთი — 1426; 9. კომის ასსრ — 1191; 10. კემეროვოს ოლქი — 1029; 11. ლატვია — 949; 12. ჩელიაბინსკის ოლქი — 880,1; 13. ბაშკირთა ასსრ — 879; 14. ნოვოსიბირსკის ოლქი — 768,6; 15. უდმურტთა ასსრ — 732; 16. ესტონეთი — 712; 17. პერმის ოლქი — 709,7; 18. თათართა ასსრ — 683,75; 19. მურმანსკის ოლქი — 505,3; 20. ომსკის ოლქი — 434; 21. ირკუტსკის ოლქი — 406; 22. საქართველო — 389; 23. კამჩატკის ოლქი — 356; 24. კიროვის ოლქი — 349; 25. კრასნოიარსკის მხარე — 289; 26. სმოლენსკის ოლქი — 286; 27. კარელიის ასსრ — 275; 28. იაროსლავის ოლქი — 273,25; 29. სახალინის ოლქი — 239; 30. კუიბიშევის ოლქი — 215,25; 31. ტიუმენის ოლქი — 213; 32. ჩუვაშთა ასსრ — 198,25; 33. ტომსკის ოლქი — 172; 34. ლენინგრადის ოლქი — 161; 35. ბურიატთა ასსრ — 131; 36. კალუგის ოლქი — 120; 37. ალტაის მხარე — 118,3; 38. ვოლოგდის ოლქი — 114; 39. პენზის ოლქი — 111; 40. სომხეთი — 105; 41. ულიანოვსკის ოლქი — 100,3; 42. ლიტვა — 100; 43. ტაჯიკეთი — 88; 44. ყირგიზეთი — 87; 45. ივანოვოს ოლქი — 84; 46. უზბეკეთი — 76; 47. მარითის ასსრ — 71; 48. ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ — 62,5; 49. [illegible] ოლქი — 59; 50. კალინინის ოლქი — [illegible]; 51. ყურგანის ოლქი — 45; 52. ვლადიმირის ოლქი — 41; 53. ჩიტის ოლქი — 34; 54. მაგადანის ოლქი — 34; 55. რიაზანის ოლქი — 34; 56. ორენბურგის ოლქი — 20; 57. არხანგელსკის ოლქი — 17,625; 58. სარატოვის ოლქი — 9; 59. ხაბაროვსკის მხარე — 5.

სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების

### პირველი ჯგუფი

1. „დინამო“ — 6212,6 ქულა; 2. „ტრუდი“ — 5993,25; 3. „ბურევესტნიკი“ — 5378,65; 4. შეიარაღებული ძალები — 4942,7; 5. „სპარტაკი“ — 4760,2; 6. „ზენიტი“ — 2959,8; 7. სოფლის სპორტსაზოგადოებები — 2417,8; 8. „შრომითი რეზერვები“ — 1423; 9. „ლოკომოტივი“ — 1335,05.

### მეორე ჯგუფი

1. „უროჟაი“ (რსფსრ) — 1048,8 ქულა; 2. „ვარპა“ — 778,25; 3. „ენბეკი“ — 229,5; 4. „ავანგარდი“ — 216,75; 5. „იიუდი“ — 174,5; 6. „უროჟაი“ (ბელორუსია) — 166,5; 7. „კრასნოე ზნამია“ — 165,3; 8. „განთიადი“ — 146; 9. „კოლოსი“ — 124,25; 10. „კალევი“ — 90,35; 11. „ქაირათი“ — 77; 12. „აშხატანკი“ — 68,5; 13. „დაუგავა“ — 52; 14. „ვოდნიკი“ — 49; 15. „მეხნატი“ — 48; 16. „ჟალგირისი“ — 38; 17. „ნიამუნასი“ — 31; 18. განათლების სამინისტრო — 29,35; 19. „კოლმეურნე“ — 17,5.

---

**აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისათვის**



**ნიჩბოსნობა**

# წინ ყვითელი ნიშანია!

**როცა** სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში საქართველოს სპორტსმენთა ადრინდელ მაჩვენებლებს ვათვალიერებთ, ვრწმუნდებით, რომ ამ კომპლექსური შეჯიბრების პირველ სტარტებში არც თუ ურიგო შედეგები გვქონდა, მერე ისინი თანდათან თოვლივით დადნა და მათზე მხოლოდ კეთილი მოგონებებიღა შეგვრჩა. სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში შემდეგაც გვყავდა თითო-ოროლა კანოისტი ან ბაიდარის ოსტატი, მაგრამ აი უკვე მერამდენე წელია, ესეც მინიმუმამდე დავიდა და არც რეზერვი ჩანს — საბჭოთა კავშირის II ახალგაზრდულ თამაშებში საქართველოს ნიჩბოსნები ერთობ უხეიროდ გამოვიდნენ.

რატომ? იქნებ ჩვენში წვრთნის პირობები გაუარესდა? არა და არა! ადრე ფოთი და მცხეთა იყო ნიჩბოსნობის ცენტრები. ახლა ამ ქალაქებში ბაზები კიდევ უფრო კეთილმოეწყო: ფოთი საკავშირო ნაკრების მზადების ერთ-ერთ ცენტრად გადაიქცა, მცხეთაში „განთიადის“ შესანიშნავი ბაზა აიგო, თბილისის ზღვაზე წვრთნის გაცილებით უკეთესი პირობებია. მას შემდეგ ახალი ბაზები გაჩნდა გალში, სიონში და სხვაგან, გუნდებს ინვენტარით მომარაგებაც უკეთესი აქვთ, მაგრამ...

ძალიან დაეცა ამ სახეობებისადმი სპორტსაზოგადოებების, უწყებების, ქალაქებისა და რაიონების ფიზკულტურის კომიტეტების ზრუნვის დონე, მწვრთნელების მონდომება. ისინი რამდენიმე ადგილზე მუშაობით საქმეს ვერ წვდებიან, ადრინდელივით აღარ ეძებენ ახალგაზრდა ნიჭიერ ნიჩბოსნებს, მოზარდებს ვერ აბამენ სისტემატურ მეცადინეობაში.

თითო-ოროლა მაღალთანრიგოსანი სპორტსმენის ზურგს ამოფარებული მწვრთნელები ხვალინდელ დღეზე არ ფიქრობენ, და, რაც მთავარია, მთელი დატვირთვით არ მუშაობენ იმ ნიჩბოსნებთანაც კი, რომლებიც, როგორც იტყვიან, მათ პურს აჭმევენ. ამავე დროს ისინი არც საკუთარ თეორიულ ცოდნას იმდიდრებენ, ამიტომ სპორტსმენებს ძველი დრომოჭმული მეთოდებით ავარჯიშებენ.

არა და, თანამედროვე ნიჩბოსნობაში წარმატება მხოლოდ დღენიადაგ სრულყოფილი ფიზიკური ვარჯიშისა და ტექნიკის დახვეწით შეიძლება. ბრწყინვალე საერთო ფიზიკური მომზადების გარეშე, როგორი კარგი ტექნიკაც არ უნდა ჰქონდეს სპორტსმენს, დიდ სტარტებში ფონს ველარ გავა. თუ დღევანდელი ნიჩბოსნებისა და თხუთმეტიოდე წლის წინანდელთა ნავების სრიალის სისწრაფეს შევადარებთ, დიდი უპირატესობა აშკარად თანამედროვეთა მხარესაა, ეს კი პირველ რიგში კარგი საერთო ფიზიკური მომზადების წყალობაა.

საქართველოს სპორტსმენებს, მათს მწვრთნელებს სრულყოფილი საერთო ფიზმომზადება და ამ ხარვეზის გამოსწორებისკენ სწრაფვა მუდამ აკლდათ. პირდაპირ ვიტყვით: ნიჩბოსნების უმეტესობას ჭირის დღესავით სძულს მძლეოსნობაში და საწონებით ვარჯიშები, რაც მათთვის ისევე აუცილებელია, როგორც ნავის მართვისა და ნიჩბების მოსმის ტექნიკის სრულყოფა.

ვერ ვიტყოდით, რესპუბლიკის სპორტკომიტეტის შესაბამისი განყოფილება არ ზრუნავდეს ნიჩბოსნებში საერთოდ, და განსაკუთრებით ნაკრების წევრთა შორის საერთო ფიზიკური მომზადების სრულყოფისთვის. აგერ მერამდენე წელია ყოველ გაზაფხულზე სწორედ საერთო ფიზმომზადებაში ეწყობა ნიჩბოსანთა რესპუბლიკური პირველობა, რომლის პროგრამაში კროსები და დიდ მანძილზე ნიჩბოსნობა შედის. ამ ასპარეზობაში მოწმდება ზამთარში ვის როგორ უმუშავია.

მართალია, რესპუბლიკაში არ გვაქვს სპეციალური აუზები, რომლებშიც ზამთრობით ჩვენი სპორტსმენები საგანგებოდ ტექნიკის დახვეწაზე იმუშავებდნენ, მაგრამ საქართველოს ბუნებრივი პირობები იმის საშუალებას მაინც იძლევა, ღია წყალზე რაც შეიძლება გვიანობამდე ივარჯიშონ და გაზაფხულზე წვრთნა ყველაზე ადრე განაახლონ, ესეც არ იყოს, საერთო ფიზიკური ვარჯიშებს წინ რაღა უდგას? არც საკროსე ადგილები გვაკლია, და ვფიქრობთ, იმდენი საწონები და ჰანტელებიც მოგვეპოვება, ნიჩბოსნებს რომ ეყოფოდათ.

ეს რომ ასეა, ამას წინათ მცხეთაში გამართულმა რესპუბლიკურმა საგაზაფხულო პირველობამაც ცხადყო. საქართველოს ძველ დედაქალაქში „დინამოს“, „ბურევესტნიკის“, „განთიადის“, „შრომითი რეზერვების“, „ლოკომოტივის“, „კოლმეურნის“, ასკ-ს, „ვოდნიკისა“ და „სპარტაკის“ 90 სპორტსმენი შეგროვდა. მათგან ყველაზე მეტი მონაწილე თბილისის არმიელთა სპორტკლუბმა (16) გამოიყვანა, ყველაზე ცოტა — „სპარტაკმა“ (3 კაცი). საასპარეზოდ გამოვიდნენ თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ფოთის, [illegible]ვისა და მცხეთის ნიჩბოსნები, რომელთა შორის 11 სპორტის ოსტატი, 29 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და 34 პირველთანრიგოსანი ნიჩბოსანი იყო...

ეს მცირე ძალა როდია, ელოდნენ, რომ ოსტატებს ამ წოდების ღირსეულ მეტოქეობას გაუწევდნენ, აგრძნობინებდნენ, რომ ისინი სტარტზე მათ გვერდით შემთხვევით არ დამდგარან.

სამწუხაროდ, ვარაუდი არ გამართლდა. საგაზაფხულო „სესიები“ დამაკმაყოფილებლად ისევ რესპუბლიკის ნაკრების წევრებმა ჩააბარეს და ისიც, განა ყველამ?

ქალები 800 და 2000 მეტრზე დარბოდნენ და მერე 5000 მეტრზე ნიჩბოსნობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ვაჟებისთვის პროგრამაში იყო 1500 და 5000 მეტრზე სირბილი და 10000 მეტრზე ნიჩბოსნობა. ცხადია, მძლეოსნურ სახეობებში სათანადო ნორმატივები იყო დაწესებული.

ვნახოთ ვის როგორი მოსავალი ჰქონდა. ქალთა შეჯიბრებებში სულ 11 მონაწილე შეგროვდა. ეს კოლექტივისთვის ეს ერთობ დაბალი ციფრია. 800 მეტრზე რბენაში ჩასათვლელი ნორმატივი (2.53,0) მხოლოდ ორმა სპორტსმენმა — პირველთანრიგოსანმა ი. ავსეევამ (თბილისი, „შრომითი რეზერვები“, 2.45,5) და სპორტის ოსტატმა ლ. იზმაილოვამ (ფოთი, „ვოდნიკი“ — 2.53,0) შეასრულეს, სხვები ამაოდ გაისარჯნენ. 2000 მეტრზე რბენაში კი ნორმატივს (7.53,0) ვერცერთი ვერ შეწვდა. პირველ ადგილზე გასულმა ავსეევამ ამ მანძილის გარბენას 8 წუთი და 20 წამი მოანდომა. ლ. იზმაილოვა მას 22 (?!) წამით ჩამორჩა.

არც ვაჟთა შორის იყო სახარბიელო სურათი: კანოისტებიდან 1500 მეტრზე რბენაში ნორმატივი (4.51,0) მარტო ორმა — სპორტის ოსტატობის კანდიდატებმა ა. დოროშენკომ (4.45,0) და ვ. ჩაპლიგანმა (ორივე — ასკ) — 4.50,0. შეასრულეს. ბაიდარისტებიდან — რვამ, რომელთა შორის უძლიერესი გახლდათ სპორტის ოსტატობის კანდიდატი გ. გოგელაშვილი („კოლმეურნე“) — 4.40,0. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ოსტატი ვ. სოსელია (ასკ) — 4.42,0 და პირველთანრიგოსანი ვ. მიქავა („კოლმეურნე“) — 4.45,0.

5000 მეტრზე კროსში ლიდერებმა როლები შეცვალეს — სოსელიამ ნორმატივს (19.10,0) საგრძნობლად გადაამეტა — 17.45,0. გოგელაშვილი ამჯერად ფინიშთან მეორე იყო — 18.02,0, მესამეზე გახლდათ რკინიგზელი სპორტის ოსტატობის კანდიდატი შ. მუსოიანი — 18.10,0. ნორმატივი კიდევ 9 მონაწილემ შეასრულა, სამაგიეროდ, ამდენივემ ფინიშამდე ვერ მიაღწია.

კანოისტთა შორის კი პირდაპირ სამარცხვინო სურათი იყო. 5000 მეტრზე კროსში 24 კაციდან ვერცერთმა ვერ შეძლო ეს მანძილი 19 წუთსა და 10 წამში გაერბინა, თუმცა დისტანცია ყველამ დაამთავრა.

საგაზაფხულო ტურნირის მონაწილეებს არც ნიჩბოსნობაში ჰქონდათ სახარბიელო შედეგები. აქ ადგილების განაწილებაში, ერთგვარი როლი შეასრულა ტექნიკამ, მაგრამ ვინც ფიზმომზადებაში სჯობდა, ნავითაც უკეთ გამოვიდა — ლ. იზმაილოვამ 5000 მეტრი 28 წუთსა და 35 წამში გაცურა.

კანოისტების 10000 მეტრზე ნიჩბოსნობა მოიგო ა. დოროშენკომ — 50.49, მეორე იყო არმიელი ოსტატი შ. კურტანიძე (50.57). ისინი 5000 მეტრზე რბენაშიც ასე დაწყვილდნენ.

ბაიდარებით შეჯიბრებაში ფინიშთან ყველაზე ადრე მივიდნენ პირველთანრიგოსანი ა. გექელი (ასკ) — 46.25 და შ. მუსოიანი — 47.09.

**რესპუბლიკის ნიჩბოსანთა საგაზაფხულო სტარტებმა სპორტსმენთა წინ ყვითელი — გამაფრთხილებელი ნიშანი დასვა, ნიშანი იმისა, რომ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის მზადების საქმე მათ წესრიგში არა აქვთ.**

მწვრთნელებმა გ. პედიამ, ვ. ტრეტიაკოვმა, მ. ლომთათიძემ, ნ. გირდამ, ს. ციცქიშვილმა, შ. მალლაფერიძემ, ყველამ, ვისაც ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში საქართველოს ნაკრებისთვის სპორტსმენთა აღზრდა ევალება ფიზკულტურის კომიტეტებთან, სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების საბჭოებთან ერთად სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ იმ სერიოზული ნაკლოვანებების დასაძლევად, რომლებიც ჩვენი ნიჩბოსნების დაოსტატებაშია.

სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს ამ სახეობის განვითარების საქმეში ყველაფერი წესრიგში რომ არა აქვთ, გუნდური ტურნირის შედეგებმაც დაადასტურა: **არმიელთა სპორტკლუბის ნიჩბოსნებმა 140,5 ქულა მოაგროვეს, „ლოკომოტივმა“ — 47, „კოლმეურნემ“ — 48, „ვოდნიკმა“ — 40, „შრომითმა რეზერვებმა“ — 36, „დინამომ“ — 28, „განთიადმა“ — 20,5, „ბურევესტნიკმა“ — 6.**

ასეთი დაბალი შედეგები არც „დინამოს“, არც „განთიადსა“ და „ბურევესტნიკს“ ეპატიებათ. „განთიადს“ ხომ საკუთარი ბაზები აქვს მცხეთასა და ბათუმში, „ბურევესტნიკში“ კი რესპუბლიკის საუკეთესო ახალგაზრდობაა თავმოყრილი.

ო. გელაშვილი,
ჯ. ქვარცხავა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე:** კროსში შეჯიბრების ერთი მომენტი.

ო. გელაშვილის ფოტო.

# სეზონი სამხრეთში იწყება

## ფეხბურთი

### ახალი, დაბრუნებული „სპარტაკი"

როგორც მოსალოდნელი იყო, მოსკოვის „სპარტაკის" იძულებითი მოგზაურობა პირველ ლიგაში ხანგრძლივი არ ყოფილა — მხოლოდ ერთი წელი გაგრძელდა. უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული „სპარტაკი" ძალიან განსხვავდება იმ გუნდისაგან, რომელიც აქ თამაშობდა 1976 წელს — კოლექტივში სულ რამდენიმე ვეტერანიღა დარჩა. დანარჩენები შარშან მოვიდნენ უმაღლესი და, ძირითადად, პირველი ლიგის სხვადასხვა კლუბიდან, ზოგიც — „სპარტაკის" მოსამზადებელი ჯგუფებიდან. წლეულს მათ მხოლოდ 2 გამოცდილი ნახევარმცველი დაემატა — 23 წლის ტკაჩოვი იაროსლავლის „შინიკიდან" და 30 წლის ნადეინი კიშინიოვის „ნისტრუდან".

გუნდიდან ბევრი ფეხბურთელი წავიდა: ბონდარევი, კოდილევი, მურაშკინცევი, ლებედევი, დროზდოვი, ანდრეევი. „სპარტაკის" უფროს მწვრთნელს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელსა და სპორტის დამსახურებულ ოსტატ კ. ბესკოვს კვლავინდებურად ეხმარებიან სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. სტაროსტინი (უფროსი მწვრთნელი აღმზრდელობითს დარგში), სპორტის ოსტატი ვარლამოვი და სპორტის დამსახურებული ოსტატი ისაევი (მწვრთნელები).

გუნდმა მზადება იანვარში დაიწყო დარბაზში, შემდეგ მონაწილეობდა ზამთრის ტრადიციულ ტურნირში „ნედელიას" პრიზზე, ამას მოჰყვა მოგზაურობა ბულგარეთში და რამდენიმე შეხვედრა ადგილობრივ გუნდებთან. სეზონისთვის მზადების დასკვნითი ეტაპის ჩასატარებლად „სპარტაკი" შავი ზღვის სანაპიროს ეწვია და განაგრძო საწვრთნელი მატჩების სერია.

კარს კვლავინდებურად იცავს 32 წლის პროხოროვი. შარშან იგი შეუცვლელად თამაშობდა და დიდად დაეხმარა თავის კოლექტივს დაბრუნებულიყო უმაღლეს ლიგაში.

დაცვაში გამოდიოდნენ ძველი სპარტაკელები ბუკიევსკი, კოკორევი, ლოვჩევი (რომელიც ზოგჯერ შუა ხაზზეც თამაშობს), სტოპერის ფუნქციებს კარგად ასრულებდა 19 წლის ხიდიატულინი.

შუა ხაზზე ვეტერან ბულგაკოვთან ერთად საწვრთნელ მატჩებში გამოდიოდნენ გავრილოვი, გლუშაკოვი, შავლო. ახლა, როგორც უკვე ითქვა, მათ კონკურენციას უწევენ ახალი ნახევარმცველები ტკაჩენკო და ნადეინი.

შარშან დიდი ყურადღება მიიქცია აგრესიულმა თავდამსხმელმა იარცევმა. სოლიდური ასაკის მიუხედავად (დაიბ. 1948 წ.), იგი ენერგიითა და შედეგიანობით გამოირჩეოდა. იარცევი წლეულსაც მონაწილეობდა ბევრ საკონტროლო მატჩში. მასთან ერთად თამაშობდნენ „სპარტაკის" ვეტერანი, გლადილინი, 23 წლის ცენტრალური თავდამსხმელი პავლენკო და სხვები.

# ოთხწლიანი დუელი ნიკოლოზ კოროლიოვთან

კრივის მოყვარულთა კუთხე

### III ბრძოლა.

1949 წელი. კაუნასი.

კვლავ ჩვეულებრივ დაიწყო ყველაფერი. მსაჯმა სხაპასხუპით ჩაილაპარაკა ნაცნობი ფორმულა, სწრაფად დადგა განზე, ყრუდ დარეკა გონგმა და „ცოცხალი ტანკი" ჯიქურ დაიძრა ჩემსკენ. მისი მოძრაობები ძველებურად ძუნწია. არ ჩქარობს. მარცხენა ხელი დაშვებულია იმ დროს მოდაში შემოსული გრძელი ტრუსების რეზინს ქვემოთ. პირწმინდად გადაპარსული თავი დაუცველია, თითქოს საგანგებოდ ელის დარტყმას... მაგრამ მახსოვს თბილისი. ვფრთხილობ. უკან ვიხევ და მარჯვენათი შემხვედრ დარტყმას ვახვედრებ თავში. კოროლიოვი ახლო ბრძოლაში აღარ ერთვება. ეტყობა რაღაც განიზრახა, კორპუსით და მარცხენათი ცრუ მოძრაობებს აკეთებს. ცივი, რუხი ფერის თვალებს არ მაშორებს. უეცრივ მზერა მომწყვიტა და რინგის იატაკს დახედა. ავტომატურად დავუშვი იდაყვი. დროულად მომივიდა. კოროლიოვის ძალუმი ჰუკი ხვდება ჩემს იდაყვს. დროზე რომ არ მოვქცეულიყავი ასე, ცუდად იყო ჩემი საქმე. საოცრად უხერხული მდგომარეობიდან დამარტყა: ისე, ძლიერად კი მოიქნია, ასე მეგონა კეტი მომხვდა. მერე მთელი სერია მომაყარა. კვლავ სწრაფად ვიხევ უკან და მარჯვენა პირდაპირით ვიგერიებ. გონგი. პირველი რაუნდი დამთავრდა.

მეორე რაუნდი კოროლიოვმა ისე დაიწყო, თითქოს პირველში სულ არ ებრძოლოს. ამჯერად ჩემმა პირდაპირმა იგი ვერ შეაჩერა. დარტყმა შუბლზე მიიღო. მერე კი ავი დღე მაყარა, რამდენჯერმე შემარყია გვერდითი დარტყმებით. დაუზოგავად მიშენს მუშტებს. უნდა დავუძვრე ახლო ბრძოლიდან. ვურტყამ მარცხენათი, ვდგამ ნაბიჯს გვერდით და კვლავ ვურტყამ მარცხენას... მოვახვედრე. ვხედავ, როგორ შექანდა მეტოქის თავი. ახლა აღარ უნდა გავუშვა შემთხვევა, კვლავ შემოვკარი განმეორებით. მარჯვენა პირდაპირი, გვერდითი, მარცხენა პირდაპირი მოვუნაცვლე და უცებ... შემხვედრი დარტყმისაგან თვალთ დამიბნელდა, რინგის ბაწრებს მივეხალე, კოროლიოვი წამომეწია და მომაკვდინებელი სვინგი მომიქნია. უჰ, მგონი გადავრჩი. დავყვინთე ხელთათმანის ქვეშ, თავზე გადავიტარე მუშტი, კლინჩში შევედი და უსირცხვილოდ კისერზე ჩამოვეკიდე კოროლიოვს.

ტრიბუნებზე გამაყრუებელი სტვენა ატყდა. „ბრეკ" ისმის რეფერის ხმა. კოროლიოვი წამსაც არ კარგავს და კვლავ შეტევას იწყებს. უკან ვიხევ, რამდენჯერმე ვურტყამ მარჯვენას. ერთი მაგრად მოვახვედრე. კოროლიოვი ოდნავ ჩაცხრა. ახლა ის დახარჯული ძალის აღდგენას ცდილობს.

ცოტათი შეცბუნებული ჩანს. მისთვის მოულოდნელი გახლდათ ასეთი წინააღმდეგობა. დაიღალა კიდეც, მაგრამ თავს არ ღალატობს. ბრძოლას როდი არიდებს თავს, პირიქით წინ მოიწევს. არც არის გასაკვირი, ხად გაგონილა კოროლიოვი და უკანდახევა.

მარცხენა გვერდითი მოვარტყი. მართლა ქვისგან თუა გამოთლილი. რამდენი ვინმე წამიქცევია ამ ჰუკით, ეს კი, ვითომც აქ არაფერიაო, მაინც მიტევს.

გონგი. — რაუნდი შენია, — ჩამძახის ოგურენკოვი და პირსახოცს მიქნევს. მინდა გავიგო რას ფიქრობს ზაბორასი, თვალებით ვეძებ, მაგრამ რა დროს ეგ არის. ახლა მთავარია ვისუნთქო.

მესამე რაუნდი ორმხრივი შეტევებით დაიწყო, თავს არ გავდივარ. ცხვირი შემიხორცდა, მაგრამ თბილისი არ დამვიწყნია. რამდენიმე სწრაფი დარტყმა და უკან ვიხევ. უცნაური მოწინააღმდეგე მყავს. არ იცის უკანდახევა. პატივისცემის ღირსია. პატივს უნდა სცემდე და თანაც დისტანციაზე უნდა გეჭიროს თავი, ახლო ბრძოლაში თუ მოუშვი, ვაი შენ დღეს.

უეცრივ სიხარული მეუფლება. ოფლში ვარ გაღვრილი, ძლივს დავათრევ სისწრაფით განთქმულ ფეხებს, მაგრამ ამავე დროს ვგრძნობ, რომ სიხარული მიპყრობს. ამას, რა თქმა უნდა, ვერავინ ამჩნევს სახე დალილავებული მაქვს, მაგრამ მაინც რაღაც სასიხარულო კიაფობს სულში. რისი ნიშანია ეს? ნუთუ ბრძოლას ვიგებ? ტრიბუნებს ზრიალი გაუდით. მაყურებელთა უმეტესობა დასაწყისშივე ფეხზე იდგა. ახლა ვინღა დაჯდება. ფეხებს უნდა მივხედო, ელავს ფიქრი. არა, მხოლოდ მეჩვენება, რომ ძლივს დავლასლასებ. განა კვლავ იოლად არ ვუსხლტები მეტოქის ძლიერ დარტყმებს? თან ვალშიც არ ვრჩები, ვახვედრებ ნიკაპში, მუცელში, მზის წნულში. ცაცია ვარ და ძირითადად მარჯვენათი ვმოქმედებ. ერთი დამარტყმევინა მარცხენა! მაგრამ მეტოქე ფრთხილობს. ერიდება ჩემს მარცხენას. ეგ მაგისი საქმეა. მსაჯები ალბათ სხვაგვარად განსჯიან. აი, მარცხენამაც გამიჭრა. კოროლიოვი ცდილობს არაფერი დაიტყოს... ოჰო, დღევანდელი ბრძოლა არც თბილისისას ჰგავს, არც კაუნასისას. მართალია, კოროლიოვი ახლაც მიტევს, მაგრამ ხშირად იძულებულია თავიც დაიცვას. ადრე კი თითქოს თო-

თქენ მიბიძგებს, სადაც რეფერი დგას. წამიც და იგი მაღლა სწევს კოროლიოვის ხელს. მაყურებელი ყალყზე დგება. დარბაზში ყურისწამღები ყვირილია. საბოლოოდ მსაჯის გადაწყვეტილება გაუქმდა. გადაწყდა მატჩი ხელახლა შემდგარიყო.

### IV ბრძოლა

1950 წელი. მოსკოვი. დეკემბერი.

კოროლიოვმა ბრძოლა მძაფრი შეტევებით დაიწყო, ჩანდა უკმაყოფილო იყო ჩვენი ადრინდელი შეხვედრით. ახლა ცდილობდა თავიდანვე დავეჯაბნე. ვერაფრით მოვახერხე მისი შეჩერება. გაჩაღდა ახლო მანძილზე ბრძოლა. მიშენდა და მიშენდა მუშტებს. ყრუ დაცვაზე უარი ვთქვი და როგორღაც დავუსხლტი ხელიდან. უკან ვიხევდი, ვყვინთავდი, გადახრებით ვირიდებდი დარტყმებს. ვახვედრებდი მარჯვენას. ისე ჩანდა, თითქოს ვაგებდი ბრძოლას. ასე თელიდა ალბათ ზოგი გამოუცდელი მაყურებელი. ვინ იცის, ეგონათ, საცაა დავეცემოდი, მაგრამ კოროლიოვის დარტყმებიდან უმეტესობა მიზანს ვერ აღწევდა. ხან მხარს ვუშვერდი, ხან იდაყვს, ხანაც ხელთათმანს, მაგრამ როგორც შეჰფერის ნამდვილ მოკრივეს. კოროლიოვი წონასწორობიდან არ გამოსულა. სიბრაზე სადღაც სულის სიღრმეში უღვივოდა, მაგრამ როდი აბრმავებდა და მოუფიქრებელი საქციელისაკენ როდი უბიძგებდა. ეგ იყო, სამარქაფო ძალებს ხარჯავდა. სერია წამოიწყო კვლავ და დაასრულა ძლიერი დარტყმით თავში. ამ დარტყმას ველოდი. დავყვინთე და ელვისებურად მოვახვედრე ნიკაპში. ამჯანი კოროლიოვი მოწყვეტით როდი დაეცა. არც ხელები გადაუყრია აქეთ-იქეთ. იგი ნელ-ნელა დაეშვა მუხლებზე და ხელთათმანები იატაკს მიაბჯინა. ვიქტორ მიხაილოვმა, მისმა მუდმივმა მეტოქემ, ამჟამად რეფერიმ, გახსნა ანგარიში. ხალხი წამოცვივდა ადგილებიდან. გნიასი შეწყდა და ცირკის თაღის ქვეშ ხანმოკლე, დაძაბულმა დუმილმა დაისადგურა. ისმოდა მარტოოდენ მიხაილოვის ხმა, რომელიც სეკუნდებს ითვლიდა. კოროლიოვი მართალია მძიმედ, მაგრამ მაინც შემართებით სავსე წამოდგა მეოთხე თვლაზე. მან არ ისურვა დაეცადა რვამდე, თუმცაღა რამდენიმე ზედმეტი სეკუნდი დიდ შვებას მისცემდა. კოროლიოვი ერთგული დარჩა თავისი ხასიათის და არ მოისურვა ესარგებლა ტაქტიკის საშუალებით.



ა. შოციკას ნოკდაუნშია.

პრინციპს — ხელები დაცვისათვის კი არ არის შექმნილი, არამედ თავდასხმისათვის. მოკრივეები ხშირად ცვლიან ტაქტიკას. გასაკვირიც აქ არაფერია, მაგრამ კოროლიოვისთანა მებრძოლი, შემტევი მოკრივისათვის ყველამ უჩვეულოდ მიიჩნია ასეთი საქციელი.

რაუნდი ჩემს სასარგებლოდ დამთავრდა. მეტოქის კუთხეს გავხედე. წარსულში ცნობილი მოკრივე, ამჟამად ჩემი მოწინააღმდეგის სეკუნდანტი გრადოპოლოვი რაღაცას ეუბნებოდა კოროლიოვს. თან ხელებს იქნევდა. ამ პანტომიმიდან აზრი ვერ გამოვიტანე. ვიფიქრე, ვინ იცის, არიგებს: ახლა ეგ გათამამებულია, შეგიტევს და შემხვედრ დარტყმაზე წამოაგეო. სწორედაც უნდა შევუტიო. ძლივს შევძელ, ნოკდაუნში ჩავაგდე და ახლა შემთხვევას გავუშვებ ხელიდან? რა ვიცოდი, რომ ისინი სწორედ ასე სჯიდნენ.

მეორე რაუნდის დასაწყისიდანვე კოროლიოვმა ამოსუნთქვა აღარ მაცალა. იგი კვლავ მისთვის ჩვეული ღია დგომით მუშაობდა. ტრიბუნებს ზრიალი გაჰქონდა. მაყურებელმა პირველი რაუნდის მიხედვით დაასკვნა, რომ სახელოვან ჩემპიონს ღირსეული მეტოქე შეხვდა და მას ნაადრევად უწინასწარმეტყველა დამარცხება. ახლა კი როლები შეიცვალა. რინგზე მძვინვარებდა კოროლიოვი და მაყურებელიც აღტაცებას ველარ ფარავდა. გეგონებოდათ ცირკის კედლები საცაა ჩამოინგრევაო. მხვდებოდა მუცელში, ფერდებში, მკერდში. კორპუსში დარტყმები გარეგნულად არაეფექტურია, მაგრამ ისინი ილაჯს უწყვეტენ მოკრივეს, აღუნებენ, აჩოლფოთებენ.

გონგი. — ფრე, — ჩამძახის ოგურენკოვი და თან პირსახოცს მიქნევს. ახლა შემხვედრ დარტყმებზე ემუშავე, გესმის?! ლამის გადმოვვარდე სკამიდან. ჰაერი არ მყოფნის. ოგურენკოვის რჩევაც უაზრობად მეჩვენება. რინგისა და მაყურებლის დანახვაც აღარ მინდა. ერთი კი ვიცი, დარეკავს გონგი და მე კვლავ გამოვალ რინგზე, შევუტევ და ალბათ მეც არ დამაყრიან დიდ ხეირს — ასეთია კრივი, და მაინც დიდებული რამ არის რინგზე ბრძოლა.

გონგის ხმამ დამიფრთხო ფიქრები. გონებაში მარტოდენ ოგურენკოვის რჩევა კიაფობს, კოროლიოვი დაღლილი ჩანს, ახლა წინმსწრები დარტყმები თუ მიხსნის. როგორც კი გავაქტიურდი, კოროლიოვმა იმწამს შეწყვიტა ახლო მანძილზე ბრძოლის გაჩაღების ყოველგვარი მცდელობა და დისტანცია დაიკავა. მე ტანის ცრუმოძრაობებით ვატყუებდი, მარჯვენას ვათამაშებდი ყასიდად, ვემზადებოდი მარცხენათი გადამწყვეტი დარტყმისათვის. უეცრივ კოროლიოვმა ბიჯი გადგა გვერდზე და სრულიად გაიხსნა. შემდეგ კი ყველაფერი ადრინდებურად წარიმართა. ვერ იქნა და ვერ ვისწავლე ჭკუა. მარცხენა გავიქნიე თუ არა, კოროლიოვი მყისიერად ჩაჯდა, დარტყმა შუბლზე მიიღო ყბის მაგივრად და პასუხმაც აღარ დააყოვნა. იატაკი გამომეცალა ფეხებქვეშ, მერე აყირავდა, თოკებს მივაწყდი და პირქვე დავემხე რინგზე. ტრიბუნებს გუგუნი გაუდით, მაგრამ ჩემს დახშულ ყურებს ეს ხმაური ძლივსღა აღწევს. რეფერის, მიხაილოვის, ხმას მკვეთრად ვარჩევ. ხუთი! ექვსი! ადგომა მინდა, მაგრამ ნურას უკაცრავად, ფეხები მეკეცება. შვიდი! მუხლებზე ვდგები. ნეტავ არ ბრუნავდეს იატაკი. რვა! ცალ მუხლზე წამოვიჩოქე. ცხრა! უკვე ფეხზე ვარ. ბოქს! და მე კვლავ ბრძოლაში ჩავერთე. დე, ბრუნავდეს იატაკი, თვალებში ნისლი მედგას, თავი მტეხდეს აუტანელი ტკივილისაგან. მაინც უნდა განვაგრძო ბრძოლა, რა საუცხოო გრძნობაა, რომ არ ნებდები, უძლებ ბოლომდე. რომ ძალგიძს დაენდო საკუთარ თავს. მერე რა თუ დაეცი. აკი მეტოქის დანარცხებაც შესძელ. ხვალ იქნებ შენ აჯობო. მთავარია, რომ არ დასთმე და გონებმა ბრძოლის დროს მოგისწრო, ვითარ შეჰფერის ნამდვილ მამაკაცს.

(დასასრული იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო" № 55.

# საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

### I ჯგუფი

**„მეშახტე" (ტყიბული) — „ენერგეტიკოსი" (თერჯოლა) 3:1. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).**

ანგარიში მე-19 წუთზე გახსნა ტყიბულელმა გ. ბოჭორიშვილმა. შესვენების შემდეგ გოლი გაქვითა დადუნაშვილმა, მაგრამ ქარქაშაძისა და კალატოზის ზუსტი დარტყმების შემდეგ „მეშახტე" კვლავ დაწინაურდა.

**„მაღაროელი" (ჭიათურა) — „სპარტაკი" (თბილისი) 2:0. მსაჯი გ. გაბისკირია (სოხუმი).**

**„მეტალურგი" (რუსთავი) — „იბერია" (ქარელი) 3:0. მსაჯი ა. პაიჭაძე (რუსთავი).**

მასპინძლებს მატჩის მსვლელობაში სრული უპირატესობა ჰქონდათ. ბურთები გაიტანეს არევაძემ, ალადაშვილმა და ლომიძემ.

**„ნადიკვარი" (თელავი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:0. მსაჯი რ. ფანჯარაშვილი (თბილისი).**

პირველ ტაიმში ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და უშედეგოდ დამთავრდა. „ნადიკვარმა" კარგად ჩაატარა მეორე ტაიმი და გამარჯვებასაც ამ პერიოდში მიაღწია (აბულაევი, იაშვილი, ლომიძე).

**„ჩიხურა" (საჩხერე) — „ეგრისი" (ცხაკაია) 4:0. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).**

სტუმრებმა ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს „ჩიხურას", რომელიც ენერგიულად და მონდომებით იბრძოდა. 2-2 ბურთი გაიტანეს წიკლაურმა და გაგუამ.

**„კოლხეთი" (ხობი) — „ივერია" (ხაშური) 1:0. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).**

მატჩის ბედი გადაწყვიტა ქავთარაძის მიერ ხაშურელთა კარში მე-13 წუთზე გატანილმა ბურთმა.

**„კოლხეთი" (ფოთი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 3:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).**

უშედეგოდ დამთავრებული ტაიმის შემდეგ ფოთელმა ფეხბურთელებმა გააძლიერეს თამაში და 3 უპასუხო ბურთიც გაიტანეს (ზ. გვალია, თოფურია, მადანი).

**„სქური" (წალენჯიხა) — ასკ (თბილისი) 3:2, მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).**

**„სპარტაკი" (ცხინვალი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) — 0:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).**

**„მეტალურგი" (ზესტაფონი) — „დურუჯი" (ყვარელი) 5:0. მსაჯი გ. მიქაუტაძე (ქუთაისი).**

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „მერცხალი" (მახარაძე) 1:1. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).**

მახარაძელი მჟავანაძის მიერ გატანილი გოლი შესვენების შემდეგ გაქვითა ბაქრაძემ.

**გათამაშების მატჩებში გაფრთხილებული არიან შემდეგი მოთამაშეები: თ. კირთაძე („განთიადი", თბილისი), თ. მახარაძე (ტაქსომოტორი № 3, თბილისი), ნ. ტუღუშჩავა („კოლხეთი", ფოთი), თ. მაღრაძე („მაღაროელი", ჭიათურა), მ. სახაია („მზიური", გალი).**

**საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.**

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. 25 მარტი. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „კოლხეთი" (ხობი). დასაწყისი 12 ს. ასკ (თბილისი) — „სპარტაკი" (ცხინვალი). 16 ს. 26 მარტი. „სინათლის" სტადიონი. ტაქსომოტორი № 3 (თბილისი) — „გარეჯი" (ხაგარეჯო). 16 ს.

# საპატიო კვარცხლბეკი—მასპინძელთა გარეშე



ექვსი წლის წინათ, 12 მარტს, ტრაგიკულად დაიღუპა 12 წლის ჭიათურელი მოცურავე გოგონა, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ლენა ნებიერიძე.

მას შემდეგ ყოველწლიურად, 12 მარტს ჭიათურაში იმართება ლენა ნებიერიძის სახელობის თასის გათამაშება. სპორტსმენები ლენას საყვარელ სახეობაში — 400 და 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ეპაექრებიან ერთმანეთს.

ეს შეჯიბრება გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის" რედაქციამ და მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის საქალაქო კომიტეტმა დააწესეს.

პირველ სამ ასპარეზობაში მხოლოდ ადგილობრივი მოცურავეები მონაწილეობდნენ. შემდეგ კი შეჯიბრებაზე რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქის საუკეთესო მოცურავე გოგონებიც მოიწვიეს. წელს ქალაქის დახურულ საცურაო აუზში რუსთავის, ქუთაისის და ჭიათურის 40-მდე მოცურავემ მოიყარა თავი. 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში რუსთაველმა ლ. კურგულცევამ მოიპოვა გამარჯვება 5.32,02, 800 მეტრზე ცურვაში საუკეთესო იყო შარშანდელ პირველობაში გამარჯვებული ქუთაისელი ნ. დივენკოვა — 11.37,05.

სამწუხაროდ, მასპინძლები ვერც ერთ საპრიზო ადგილზე ვერ მოხვდნენ. ჭიათურელი მოცურავეების მიმართ სამართლიანი შენიშვნა იყო გამოთქმული „ლელოს" 1 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „იმედი იმედად რომ არ დარჩეს". ამის კიდევ ერთი დადასტურება იყო ლ. ნებიერიძის სახელობის თასის გათამაშებაში ადგილობრივ მოცურავეთა უსუსური გამოსვლა.

**გ. ბარჯაძე.**
(ჩვენი კორ.)

ჭიათურა.

* * *



სურათებზე: ნ. დივენკოვა; ლ. კურგულცევა.

ვ. ფილიპოვის ფოტოები.

# ჰაერშია «მცირე ავიაცია»

**ბოლნისის** რაიონში გაიმართა საქართველოს დოსააფის პირადგუნდური პირველობა ავიასამოდელო სპორტში.

- პლანერის მოდელებით შეჯიბრებაში ქუთაისელმა სპორტის ოსტატმა გ. წილოსანმა 1159 ქულა მოაგროვა და გამარჯვება მოიპოვა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ თბილისელი სპორტის ოსტატობის კანდიდატი ა. უდოვიკოვი — 1142 და პირველთანრიგოსანი დ. ალადაშვილი — 1046.

რეზინისძრავიანი მოდელებით ასპარეზობაში საბჭოთა კავშირის ექსჩემპიონის, საჩხერელი სპორტის ოსტატის ნ. გელბახიანის ნამუშევარმა ყველას აჯობა — მისმა მოდელმა საბოლოოდ 888 ქულა დაიმსახურა და 24 ქულით ჩამოიტოვა თბილისელი პირველთანრიგოსნის ა. კირიევის „თვითმფრინავი". მესამე იყო პირველთანრიგოსანი გ. ჯავახიშვილის (თბილისი) მიერ დამზადებული მოდელი — 817 ქულა.

ტაიმერიანი მოდელებით ტურნირში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ზ. წიკლაური — 597 ქულა, ა. ტვერდოხლებოვი (ორივე — თბილისი) — 202, ვ. როშინი (ბათუმი) — 105.

გუნდური პირველობა თბილისელებმა მოიგეს (მწვრთნელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ი. ტოკარევი) — 5 საჯარიმო ქულა. II ადგილზეა საჩხერის ნაკრები — 8 ქულა, III — ქუთაისის გუნდი — 12.

**ო. კიკნაველიძე,**

## სტარტზე — მოსწავლეები

სოფია. პაზარჯიკში ჩატარებულ ცურვის ფესტივალში მონაწილეობდა 18 საწყლოსნო კლუბის 11-12 წლის ასაკის ‥თასი ბიჭი და გოგონა. ეს შეჯიბრება მეათედ ჩატარდა და მიეძღვნა პარტიზანთა მეთაურის, მეორე მსოფლიო ომის გმირის მ. შატროვის ხსოვნას. ტურნირი მოეწყო ქალაქში, სადაც წინათ არათუ აუზი, სასმელი წყალიც დეფიციტური იყო.

ადნ-ის სპორტულმა რედაქციამ სამი კითხვით მიმართა **ილონა გუზენბაუერსა და გალინა სტეპანოვა-პროზუმენშჩიკოვას.**

**1. როგორ მოეწყო თქვენი ცხოვრება დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ და რა კავშირი გაქვთ ამჟამად ფიზკულტურასა და სპორტთან?**

**2. როგორ უყურებთ მონრეალის ოლიმპიური თამაშების შემდეგ თქვენი სახეობის შემდგომ განვითარებას და განსაკუთრებით რომელი სპორტული მიღწევა დაგამახსოვრდათ 1977 წელს?**

**3. განვითარების რა ტენდენციებს ამჩნევთ 1980 წლის წინასაოლიმპიადო პერიოდში, როგორ ფიქრობთ, რა შედეგების ჩვენება იქნება საჭირო თქვენს სახეობაში მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონობის მოსაპოვებლად?**

### ილონა გუზენბაუერი
(ავსტრია, მძლეოსნობა)

დაიბადა 1947 წლის 16 სექტემბერს. ცოლად გაჰყვა თავის ყოფილ მწვრთნელ როლანდ გუზენბაუერს. ჰყავს ორი შვილი. ქალიშვილი ურზულა 10 წლისაა, ხოლო ვაჟი ქრისტიანი — 3 წლის.

1970 წელს 1,84 მ სიმაღლე დაძლია და ჩემპიონი გახდა დახურულ დარბაზებში, ხოლო 1971 წელს ჰელსინკში 1,87 მ სიმაღლის გადალახვით კვლავ ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. იმავე წელს ვენაში იოლანტა ბალაშის (რუმინეთი) მსოფლიო რეკორდი 1-სმ-ით გააუმჯობესა — 1,92 მ. იგი 1972 წლის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი იყო — 1,88 მ.

1. 1973 წელს დიდი სპორტის დატოვების შემდეგ მთელი ყურადღება ოჯახზე გადავიტანე. თუმცა იმავე წელს ნაყოფიერ სპორტულ საქმიანობასაც შევუდექი. თავისუფალ დროს ჩოგბურთს ვთამაშობდი. სპორტის ახალ სახეობაში უკვე ორი თასი მოვიგე. სიმაღლეზე ხტომას აღარ მივდევ, თუმცა დიდი ყურადღებით ვადევნებ თვალყურს სპორტის ამ სახეობას.

2. ყოველთვის ვოცნებობდი 2 მ. სიმაღლეზე გადავმხტარიყავი. იმ პერიოდისთვის 1,90 მ გადაულახავად ეჩვენებოდათ, ასე რომ, მონრეალის ოლიმპიადიდან ერთი წლის შემდეგ როზი აკერმანის მიერ 2-მეტრიანი ზღვარის გადალახვა ფენომენალური მიღწევაა, თუმცა იგი ჩემთვის სრულებითაც არ არის საკვირველი. ისე კი, ვფიქრობ, რომ დღეისათვის აკერმანის რეკორდს არავითარი საფრთხე არ ემუქრება. დადასტურებულია, რომ 1,94 მეტრის ზევით ყოველი სანტიმეტრის მომატება ნიჭიერი და ბეჯითი ათლეტისთვის ორმაგ დატვირთვას უდრის. ვფიქრობ, 2 მეტრი სიმაღლის დაძლევა, მომავალ წლებში თვით ექსტრა კლასის მხტომელებისთვისაც კი საოცნებო იქნება.

3. ხანდახან ვფიქრობ, რომ 1980 წლამდე, ალბათ სხვა სპორტსმენებიც მიაღწევენ 2-მეტრიან ზღვარს. თუ რიაზემარი აკერმანი ჯამრთელად იქნა, ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი, რომ მოსკოვში სწორედ ის მოიპოვებს ოქროს მედალს. იქნებ შესაძლოა 2-მეტრიანი ნახტომი გაიმეოროს, მაგრამ უფრო რეალურად მეჩვენება, რომ გამარჯვებისათვის 1,98 მ დაძლევაც საკმარისი იქნება.

ყველა, ვისაც 2 მ სიმაღლეზე გადახტომა უნდა, ვალდებულია საერთაშორისო შეჯიბრებებში მუდმივად ძლევდეს 1,96 მ სიმაღლეს. შიში, რომელიც ყოველ მხტომელს ეუფლება თამასას წინაშე, მხოლოდ ბეჯითი, ფიზიკური და მორალური ვარჯიშით შეიძლება გადაილახოს.

# ფანტასტიკური შედეგების მოწმენი გავხდებით

### გალინა სტეპანოვა-პროზუმენშჩიკოვა
(სსრკ, ცურვა)

დაიბადა 1946 წლის 26 დეკემბერს სევასტოპოლში. იგი ექსტრა კლასის ოსტატის განსახიერებაა ბრასის სტილით ცურვაში. 1964 წლის 11 აპრილს 200 მეტრიან დისტანციაზე მსოფლიო რეკორდი ჩამოართვა კარინ ბეიერს. გალინამ 2,47,7 აჩვენა. მოგვიანებით ეს შედეგი კიდევ უფრო გააუმჯობესა — 2.40,5. 1966 წელს მოსკოვში, 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში მსოფლიო რეკორდი 1.15,7 დაამყარა, 1960 წელს კი ასპარეზობებში მონაწილეობა არ მიუღია. 1964 წელს გახდა ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 200 მ-ზე ბრასის სტილით ცურვაში. შემდეგ, 1968 და 1972 წლებში ერთად კიდევ ოთხი ოლიმპიური მედალი მოიპოვა. გალინა 1966 და 1970 წლების ევროპის ჩემპიონია. უყვარს თეატრი და იტაცებს ისტორიული რომანების კითხვა. დაამთავრა ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.

1. სპორტთან მჭიდროდ ვარ დაკავშირებული. სულ მცირე, კვირაში ერთხელ საცურაო აუზში გამოცდილებას ვუზიარებ ბავშვებს, მათ შორის ჩემს ქალიშვილსაც, რომელიც ახლა 8 წლისაა და ბუნებრივია, დედისგან უნდა აიღოს მაგალითი. მოსკოვში დავამთავრე ჟურნალისტიკის ფაკულტეტი და ამჟამად ვმუშაობ სსრ კავშირის სპორტკომიტეტში, სადაც მონდობილი მაქვს მეტად საინტერესო და საპატიო საქმე, სახელდობრ, ინფორმაციების შეკრება და გავრცელება ცურვის განვითარების შესახებ. ჩემი მთავარი მიზანია, რაც შეიძლება ბევრი ახალგაზრდა დავაინტერესო ცურვით.

2. წინასაოლიმპიადო სეზონიც დატოვებს თავის კვალს. მომავალი თაობა კვლავ უმიზნებს მაღალ მწვერვალებს, ეს ტენდენცია ჩვენს ქვეყანაშიც შეინიშნება. ყოველივე ეს, ბუნებრივია, სიხარულს მანიჭებს. დარწმუნებული ვარ, საერთაშორისო არენაზეც ვიტყვით ჩვენს სიტყვას.

3. ზუსტი პროგნოზის გამოთქმა არ შემიძლია, მაგრამ მჯერა, რომ 1980 წელს მოსკოვში მრავალრიცხოვანი ფანტასტიკური წარმატებების მოწმენი გავხდებით. მრავალი სპორტსმენის სახელი შეიძლება ჩამოვთვალოთ, როგორც საბჭოთა, ისე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და სხვა ქვეყნებიდან, რომელთაც შეეძლებათ, მოსკოვის ოლიმპიადაზე გამარჯვება. ოლიმპიური დაფნის გვირგვინისთვის ბრძოლა ძირითადად ამ სამი ქვეყნის სპორტსმენთა შორის გაიმართება.

**გერმანულიდან თარგმნა**
**ბ. ლამბაშიძემ.**

# „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „შაბათის სპორტლოტოს" მეთერთმეტე ტირაჟისა, რომელიც მოსკოვში 18 მარტს შედგა.

**პირველი:** ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია, ოთხისთვის — 288, სამისთვის — 7.

**მეორე:** ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება აქაც 5000 მანეთია, ოთხისთვის — 244, სამისთვის — 5.

მოგებული თანხა გაიცემა 29 მარტიდან 29 აპრილის ჩათვლით.

**გუშინ** მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოსა" და „სპორტლოტო-2"-ის მეთორმეტე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები და სახეობები:

**„სპორტლოტო":** 2 (საავტომობილო სპორტი), 20 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 30 (აფროსნობა), 37 (სროლა), 42 (ძალოსნობა), 43 (ფარიკაობა). შეღავათიანი ბურთულა — 12 (წყალ-სამოტორო სპორტი).

**„სპორტლოტო-2":** 4 (ალპინიზმი), 9 (ჭიდაობა), 10 (საბუერო სპორტი), 16 (ტანვარჯიში), 40 (ტურიზმი), 45 (ფეხბურთი). შეღავათიანი ბურთულა — 28 (მაგიდის ჩოგბურთი).

## ფეხბურთი

### რიველინოს აზრით

გამოჩენილმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა რიველინომ ინტერვიუ მისცა იუგოსლავიის ჟურნალ „ტემპოს" კორესპონდენტს. მან გამოთქვა რწმენა, რომ მისი გუნდი მეოთხედ მოიპოვებს მსოფლიო ჩემპიონის წოდებას. რიველინოს მიაჩნია, რომ ბრაზილიელთა გარდა, პირველ ოთხეულში მოხვდებიან გფრ-ის, ჰოლანდიისა და არგენტინის გუნდები.

კითხვაზე, ვინ მიაჩნია თანამედროვეობის № 1 ფეხბურთელად, რიველინოს პასუხი ასეთი იყო — ლუის პერეირა (ბრაზილია, თამაშობს მადრიდის „ატლეტიკოში").

### „კარდიფ სიტის" კატასტროფა

„კარდიფ სიტი", რომელიც ინგლისის მეორე ლიგაში გამოდის და ამჟამად ბოლოდან მეხუთე ადგილზე იმყოფება, კატასტროფის წინაშე დადგა... გუნდი მთლიანად იყიდება, რათა კლუბის ვალი — 250 ათასი ფუნტი სტერლინგი დაფაროს.



სპლიუგენში (შვეიცარია) გაიმართა ძაღლშებმული ციგებით მოსხაპრიზოთა IV საერთაშორისო რბოლა.

# ძალადობის წინააღმდეგ

**რომი.** სპორტი აზლანდელი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ნარკომანიის, ძალადობისა და სხვა მანკიერი გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლის პროფილაქტიკურ საშუალებად უნდა იქცეს — იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ჯულიო ონესტისთან საუბარში თქვა რომის პაპმა პავლემ.

—ჩვენი საზოგადოების პასუხისმგებელმა პირებმა მეტი აქტივობა უნდა გამოიჩინონ ძალადობის ფენომენის ლიკვიდაციის საქმეში, რომელიც ნარკომანიასთან, ეროტიზმთან და დანაშაულის სხვადასხვა ფორმასთან ერთად, თავის ორბიტაში ითრევს ახალგაზრდობას, — თქვა მან. ჩვენ აბსოლუტურად დარწმუნებული ვართ, — დასძინა პაპმა, — რომ სპორტში სერიოზული მეცადინეობა და შეჯიბრებებში ყველგან აღიარებული ეთიკური პრინციპების სულისკვეთებით მონაწილეობა მნიშვნელოვანი წვლილია ჩვენი საზოგადოების ცხოვრების გადაგვარების პროცესთან ბრძოლის საქმეში.

ამასთან დაკავშირებით ვატიკანის წარმომადგენლებმა გვაცნობეს, რომ პაპმა პავლემ გადაწყვიტა პირველად მიანიჭოს სპეციალური პრიზები იტალიის ახალგაზრდულ თამაშებში გამარჯვებულებს. ეს შეჯიბრება წლეულს ივლისში ქალაქ ბარში (სიცილია) გაიმართება. (საკდესი).

**რედაქტორი ა. ბასილაია.**

საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის აპარატის მუშაკები და გაზეთ „ლელოს" რედაქციის კოლექტივი თანაუგრძნობენ დავით პერტენავას დედის

**თამარ ვასილის ასულ**
**ჩიხლაძე-პერტენავას**

გარდაცვალების გამო.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კვირისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-66-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოწინავე და ხოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ქადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.
ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07744